№ 5
შაბათი [8] იანვარი, 1900 წ.

ფასი ღირს:

| თვე | მ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | [illegible] | 6 | 6 — |
| 11 | [illegible] | 5 | 5 50 |
| 10 | [illegible] | 4 | 4 75 |
| 9 | 8 | 3 | 3 50 |
| 8 | 7 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

1877—1900

# ივერია

№ 5
შაბათი 8 იანვარი, 1900 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ, მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

გოლოვინის პროსპექტზედ, სამგზავრო ფოსტის პირდაპირ, თავ. არღუთინსკი-დოლგორუკის სახლში ახლად გამართულ ევროპიულ გემოვნებაზედ მოწყობილი

**საპარიკ-მახერო „არსენი"**

(5—248—2)

ღრმესს მადლობასა ვწირავ ყველას, რომელიც პატივი მიეს და დაესწრნენ ჩემი შვილის—ექიმის გრიგოლ თათეოსძის გამის დაკრძალვას ქ. ხონში 31 კრისტეშობისთვეს და აგრეთვე იცვალებულის გამცვენებას ბ-ნ ს. თოფურიას საავადმყოფოდგან ქ. ქუთაისში. განსაკუთრებით მადლობელი ვარ ჩოხატაურის საზოგადოების წარმომადგენლებისა დიადის გულშემატკივრობისათვის, რომელიც გამოიჩინა მათ მიერ დეპუტაციის გამოგზავნაში დასაფლავებაზედ დასასწრებლად, და აგრეთვე ყველა იმა, რომლებმაც დეპეშებით თუ სხვა გვარად მანუგეშეს მწუხარებაში მყფი მშობელი.
(1—6.—1) სპირიდონ ქუთათელაძე

**პირველი კერძო სამკურნალო**

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ჟ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფობა.

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი** 1—1½ სთ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** 1½—2 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 5—6 საათ.

**ი. ნ. შპაკოვსკი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 7—7½ საათ.

**ი. ი. რუდენკო**—სამკურნალოში ჩხრიკავს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ. რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისთვის—მორიგებით.

**ლ. ტ. არვანიტაკი**—გაუკეთებს სლში მსურველთ „მასსაჟს", ატყვილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით. მიმართონ 11—1 საათამდე.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардiана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову

**ტფილისის კერძო სამკურნალო**

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველდღე კვირა დღეების გარდა

დილით:

**ვ. ი. ჯიჯინაძე.**—გზილის სნეულებანი. 8—10 საათ.

**გ. გ. მაღალაშვილი**—შინაგანი —9—10 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10½—12 საათ.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**ნ. ზ. უმიკოვი.**—ბავშვებისა (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით)—12—1 საათ.

**მ. ლ. მარკევიჩი**—12—1 სადოსტაქრო. სამშაბ. 3—4.

**ი. დ. ბაგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 საათ.

**მ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—1—2 საათ.

საღამოთი:

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგანი და ბავშვებისა—5—6 საათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი—მორიგებით.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

დირექტორი სამკურნალოსი **მ. ა. გედევანიშვილი**

**ექიმი**

**კ. ი. გძელიშვილი**

მიიღებს

ყელისა, ცხვირისა და ყურით ავადმყოფებს.

დილ. 9—11 ს., საღამოზე 5—7 ს.

მიხეილის ქუჩა, ნემეცების ეკკლესიის პირდაპირ. **Михайловская, противъ кирки.**

(100—31—70)

## მთავრობის განკარგულებანი

უმაღლესის ნება რთვით მივდივარ-რა პეტერბურგს სამსახურისა გამო, მივანდობ ჩემს თანაშემწეს გენერალ-ლეიტენანტს ფრეზეს ჩემის თანამდებობის აღსრულებას.

ხელს აწერს: სენატორი, გენერალ-ადიუტანტი თავ. გოლიცინი.

ებოძა სამსახურის წელთა შესრულებისა გამო ტიტულიარნი სოვეტნიკობა—ფასანაურის გზა-ტკეცილის საბაჟოს უფროს ნათიშვილს.

## ახალი ამბავი

*** ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება დანიშნულია ამა წლის 20 მარტისთვის. ამ კრებაზედ მოხდება არჩევნები გუბერნიის და მაზრის წინამძღოლებისა, დეპუტატებისა და კანდიდატების. მოხდება აგრეთვე არჩევნები დეპუტატთა საკრებულოს მდივანისა და იმის კანდიდატისა.

*** 6 იანვარს, ხუთშაბათს, ტფილისის კრუჟოკში ჩვეულებრივი ყოველ-წლიური „ბალი" იყო ქართულ სათავად-აზნაურო სასწავლებლის სასარგებლოდ. დიასახლისობდა უპატივცემულესი კნეინა ნინო დავითის ასული ჩოლოყაშვილისა. ბალს დიდ ძალი საზოგადოება დაესწრო. ცეკვამ ღამის ოთხ საათამდე გასტანა. ცეკვას აელფერებდა მშვენიერი ლეკური. ზოგიერთნი მოლხინენი მხოლოდ განთადისას დაიშალნენ.

*** გუბერნიის მკურნალი ტ. ს. ქიქოძე 5 იანვარს ახალქალაქის მაზრაში წავიდა 2 იანვარს მომხდარ მიწის-ძვრისაგან დაშავებულთათვის შემწეობის აღმოსაჩენად.

*** უწმ. სინოდთან დაარსებულ განსაკუთრებული კომისია შესდგომია საპენსიო წესების შემუშავებას ქალაქისა და სოფლის მღვდელთათვის. პენსიის მისაღებ ვადად აზრად აქვთ 35 წელიწადი დანიშნონ. ქალაქის დეკანოზებს დაენიშნებათ—450 მან., ქალაქის მღვდლებსა და სოფლის დეკანოზებს—360 მანეთი, სოფლის მღვდლებს—240 მანეთი, ქალაქის მთავრებს—240 მ., სოფლის მთავრებს—180 მან. მედავითნეთ პენსია არ დაენიშნებათ.

*** მთავარ-მართებლის სასახლეს ელექტრონით უპირობენ განათებას. უკვე შესდგომიან მუშაობას.

*** როგორც ამბობენ, გეოლოგს ვებერს დაუთვალიერებია ახალქალაქის მაზრაში ის ადგილები, სადაც 19 დეკემბერს ძლიერი მიწის ძვრა მოხდა, და იმ დასკვნამდე მისულა, რომ ტაბისყურის ტბასა და აბუნას

## ფელეტონი

### ქართულ თეატრის მოკლე ისტორიული მიმოხილვა (1855—1900)

(წაკითხული სადღესასწაულო კრებაზედ ამ წლის 2 იანვარს ბ-ნ ნ. ავალიშვილის მიერ).

რუსეთთან შეერთების შემდეგ ქართველ ერის გონებრივი ცხოვრება წარმოადგენდა დიდის ხნის განმავლობაში მრავალის ტანჯვით მოქანცულ გმირის ძილს, თითქოს იმით დაიმედებულისას, რომ ორთავა არწივის ღონიერ ფრთეთა ქვეშე ამ ძილს იმას ვერავინ და ვერაფერი ვერ დაუფრთხობდა. გარეშე საქმეთა ვითარების გამო ამ გონებრივმა ძილმა თითქმის მთელს ნახევარ საუკუნეს გასტანა და არაფერი ზედმოქმედება არ იყო ისეთი, რომ ამ ძილისაგან გამოეფხიზლებინა იგი. გამოფხიზლების ხანა დაუდგა მას იმ დროიდგან, როდესაც უმაღლესის ნებით საქართველოს მთავარ-მართებლად და ხელმწიფის მოადგილედ დაინიშნა უგანათლებულესი თავადი მიხეილ სვიმონის ძე ვარანცოვი.

ვითარცა ერის გონიერი მმართველი, თავადი ვარანცოვი არა ჰკმაროდა იმას, რომ მარტო წარჩინებული მხედართ-მთავარი ყოფილიყო, ამდენ მისის დიდის ბუნების აუცილებელი მოთხოვნილება ისიც იყო, რომ შინაგან და გარეგან მშვიდობიანობასთან ერთად მისდა მინდობილ ერს გონებრივი და ზნეობრივი ძალებიც მისცემოდა და მისი მორალური ცხოვრება განვითარებულიყო.

ამის მისაღწევად მისგან დაფუძნებულ მრავალ დაწესებულებათა და შემოღებულ ღონისძიებათა შორის, ქართულის თეატრის დაფუძნებაც იმის ღვაწლს ეკუთვნის. რუსულ თეატრის დაფუძნების შემდეგ, რომელიც 1845 წელში მოხდა, რაკი დაინახა, რომ ხალხი ძლიან მისდევდა ამ ახალ გართობას და რაკი საზოგადოების უმეტესმა ნაწილმა რუსული არ იცოდა, ხოლო მისი სურვილი იყო ყველივე კეთილი შემოღება უმეტესობისათვის ყოფილიყო მისაწდომი და გამოსადეგი,—იგი რუსულის თეატრის დაფუძნებას ქართული თეატრის დაფუძნებასაც თან მიაყოლებდა, რომ ჩქარა შეჰხვედროდა ჩვენს საზოგადოებაში ამ საქმისათვის მომზადებული ადამიანი ანუ ვისმეს თავისთავად მიემართა მისთვის და ამით მთავარ მმართებლის კეთილის მისწრაფებით ესარგებლა. თ. ვარანცოვის თანამედროვე და მაშინდელის ვითარების კარგად მცოდნე განსვენებული თ. მიხეილ თუმანიშვილი 1852 წელს გაზ. „კავკასში", სხვათა შორის, ამბობს: „მთავარმართებელის ვარანცოვის აზრით ქართულ ენაზედ გამართული წარმოდგენები უფრო საჭირო იყო რუსულ წარმოდგენებზედაც, რა არის საზოგადოების უმეტესობა განთავისუფლებულიყო ამაოდ-მორწმუნეობისაგანაო"... და ბოლოს დასძენს: „ამიტომაც თ. ვარანცოვმა განიზრახა ქართულის თეატრის დაფუძნებაო".

იმ ზრით გამსჭვალული, რომ საზოგადოებისათვის ყოველი ნაკლი შეევსო, ყველა გაჭირვება შეემსუბუქებინა, თ. ვარანცოვი დაურიდებლად ვადიოდა ქართველ წარჩინებულ ოჯახებში, იკვლევდა ქართველების მდგომარეობას და, სხვათა შორის, წერა-კითხვის მდგომარეობასაც. ამ კვლევის დროს შეიტყო, რომ ქართულ ენაზედაც იყო დაწერილი კომედია და მაშინვე ქართულ წარმოდგენი ნახვის სურვილი გამოაცხადა. ეს კომედია „გაყრა" იყო. მთავარ-მართებლის სურვილის შესასრულებლად საჩქაროდ დაიბარეს მისი დამწერი თ. გიორგი ერისთავი ს. ხიდისთავიდგან და წარუდგინეს იგი თავ. ვარანცოვს. ამან ალერსიან დახვედრის შემდეგ უბრძანა ერისთავს: „ჩემ მაგიერ სთხოვეთ სცენის მოყვარულ ქართველებს როლები დაისწავლონ და წარმოდგენა გამართეთ ტფილისის გიმნაზიის სცენაზედ თქვენის გამგეობით. ვნახოთ, როგორი კომედია დაგიწერიათ, ან როგორს სცენიურს ნიჭს გამოიჩენენ ქართველებიო."

ამ ბრძანების აღსრულებას ბეჯითად შეუდგა თ. გ. ერისთავი. სცენის მოყვარეებს ბევრი ხვეწნა არ დასჭირდათ და ყველამ დიდის სიამოვნებით მიიღეს წარმოდგენაში მონაწილეობა. ამ წარმოდგენაში ერისთავი რეჟისორიც იყო და როლსაც თამაშობდა. ეს წარმოდგენა 1850 წ. 2 იანვარს გაიმართა, ე. ი. დღეიდგან ორმოც-და-ათის წლის წინ. როგორც მაშინდელ განცხადებიდგანა სჩანს, ამ წარმოდგენაში მონაწილეობა მაშინდელ წარჩინებულ ოჯახების შვილთ მიუღიათ.

წარმოდგენამ სრულიად დააკმაყოფილა მთავარ-მართებელი და რამდენისამე დღის შემდეგ თ. გ. ერისთავი თავისს ამალაში საგანგებო მინდობილებათა უმცროს მოხელედ დანიშნა.

ამავე წლის 3 მაისს კვალად გაჰმართა ერისთავმა წარმოდგენა, რომლის დროსაც „დავა" ითამაშეს. ამ ორმა წარმოდგენამ სრულიად დაარწმუნა ვარანცოვი, რომ ქართულის თეატრის დაფუძნება შესაძლებელი საქმეა და დასის შედგენა გადასწყვიტა; ხოლო მისი მართვა გამგეობა თ. ერისთავს მიანდო.

მაშინდელ ცრუმორწმუნეობის მიზეზით ქალაქში შეუძლებელი იყო დასისთვის საჭირო კაცების შოვნა, მეტადრე ქალებისა, და ამიტომ თ. ერისთავი სოფელში წავიდა დასის მოსაკრებად. ამ თავით ხარჯად ორასი თუმანი მისცა ვარანცოვმა ერისთავს და დასის შესანახად წელიწადში ოთხასი თუმანი დაუნიშნა.

ორ-სამ თვეს დასი უკვე შემდგარი იყო და წლის დამლევამდის ერისთავმა იმდენად მოამზადა იგი, რომ 1851 წლის 1 იანვრიდგან წარმოდგენებიც დაიწყო.

თ. ვარანცოვი თითქოს შეჰხაროდა ამ საქმეს: ამას იმითი ჰხატავდა, რომ ხშირად მიბრძანდებოდა ხოლმე ქართულის დასის რეპეტიციებზედ და ბოლომდის ისმენდა იმათს მომზადებას.

ქართული დასი თავის რეჟისსორით მთავარ მართებელმა ტფილისის თეატრის დირექციას გადასცა. ამ

შუა, ადვილი შესაძლებელია ცეცხლმა ამოჰხეთქოსო.

*** დღეს, 8 იანვარს, საქართველოს ეკლესიის წმ. მოწამის აბოს ხსენების დღეს შესრულებულ იქმნება საღმრთო წირვა ავლაბრის მაცხოვრის ფერისცვალების (დარიას მონასტერი) ტაძარში გორის ეპისკოპოსის ყოვლად სამღვდელო ლეონიდეს მიერ, ხოლო ხარფუხის წმ. ნიკოლოოზის ტაძარში-კი ალავერდის ეპისკოპოსის ყოვლად სამღვდელო კირიონის მიერ. წირვა ორსავე ეკლესიაში დაიწყება დილის 9 საათზედ. ყოვლად სამღვდელო ლეონიდე წირვის დროს დღის შესაფერ სიტყვას წარმოსთქვამს. წირვის გათავების შემდეგ, სამღვდელოების მიერ ყოვლად სამღვდელოთა მეთაურობით შესრულებულ იქმნება ლიტანია ორსავე ტაძრიდგან წმ. აბოს ნიშამდის. ეს ნიში იმყოფება მტკვრის მარცხენა მხარეს, მეტეხის კლდის ძირას, ავლაბრის ხიდთან. ამ ნიშის წინ მოედანზედ სამღვდელოება შეასრულებს წმ. აბის სავედრებელს გალობას; სახარების წაკითხვის შემდეგ დღის შესაფერისი სიტყვა იქმნება წარმოთქმული ტფილისის სასულიერო სემინარიის მასწავლებლის ი. ი. ფერაძის მიერ, ამ დღეს საქართველოს ეკლესია გადაიხდის დღესასწაულის წმ. მოწამის აბო ტფილელისას, რომელიც ითვლება ქ. ტფილისის და ქართველთ მფარველ ანგელოზად.

*** ქუთაისი. ახალწელიწადს წირვის შესრულების შემდეგ, აქაურ საკრებულო ტაძრის დეკანოზმა მამა გაბრიელ ცაგარეიშვილმა ახალქალაქის მაზრაში მიწის ძვრისაგან მომხდარ უბედურების შესახებ ქადაგება წარმოსთქვა. შემდეგ, მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ თითონ მ. დეკანოზმა ჩამოატარა ლანგარი და შეაგროვა სამოცდა თორმეტი მანეთი და ათი შაური. ეს პირველი მაგალითია, რომ რაიმე შემთხვევისათვის ეკლესიაში ერთხელ ლანგრის ჩამოტარებით ამდენი შეწირულება შეგროვილიყოს.

*** სოფ. სვეტლია (ქუთაისის მაზრა). 26 დეკემბერს, ღამის 8 საათზედ, აქაური მცხოვრებნი აზ. ერმალო კაციას ძე და პარმენ არჩილის ძე ნიჟარაძეები შეხვდნენ აქაურსავე მცხოვრებთ—გლ. ივანე და იაკოფ ლომიძეებს და სრულიად უმიზეზოთ ივანე ლომიძე დასჭრეს ხანჯლით შვიდ ადგილას. როგორც აღმოჩნდა, დამჭრელი ამათ შორის ყოფილა ერმალო ნიჟარაძე, ხოლო პარმენს-კი ხანჯლის უქონლობის გამო ჯოხი დაუკრავს თავში იაკობ ლომიძისთვის, რის გამო ის უსულოდ მიწაზედ დაცემულა და შემდეგაც შეუბრალებლათ უცემნია, სანამ მაშველებელნი არ გაჩენილან. ამ დანაშაულობის ჩადენის შემდეგ, ეს ორი გამარჯვებული ახალგაზდები მისულან აზ. ლავრენტი აბულაძისას და შესვლისათანავე ჩხუბი აუტეხნიათ აბულაძის სტუმრებთან და ერმალო ნიჟარაძეს დაუჭრია ოთხ ადგილას იქ მყოფი აზ. ნესტორ ნიჟარაძე, პარმენს-კი მონაწილეობა მიუღია ჩხუბში უიარაღოთ. აქაურმა მამასახლისმა ამ შემთხვევების შესახებ ოქმი უკვე შეადგინა და წარადგინა სადაც ჯერ არს.

*** ფოთი. 2 იანვარს, კლუბის დარბაზში საქველმოქმედო აზრით, აქაურ მანდილოსნების მეთაურობით და პოლიცმეისტერის თავ. ვ. აბაშიძის დახმარებით გაიმართა „მასკარადი“, საუკეთესო ტანისამოსისათვის დანიშნული იყო საჩუქრები. საღამოს საზოგადოება ბლომად დაესწრო. ქალებში საჩუქარი ქ-ნმა პარასკევა ქავთარაძისამ მიიღო, რომელიც თავის ხელით შეკერილ ძვირფას ძველებურ მეგრულ ტანისამოსში იყო მორთული. ქველმოქმედად ცნობილმა მანდილოსანმა აქაც თავი იჩინა და ნაცვლად იმისა, რომ სახსოვრად შეენახა ძვირფასი საჩუქარი, საღამოს გამგეთ უკან დაუბრუნა და ასე მოახსენა: „მადლობას ვწირავ საზოგადოებას დასაჩუქრებისათვის, მაგრამ რადგან ამ საღამოს შემოსავალს კეთილი მიზანი აქვს, ამისათვის ჩემს პირად სიამოვნებას მას ვანაცვალებ და ამის ნიშნათ თქვენგნით მოძღვნილ საჩუქარს უკან გიბრუნებთ“. ასეთმა მისმა გულ-კეთილობამ საზოგადოებაში ხანგრძლივი ვაშას ძახილი და ტაშის ცემა გამოიწვია.

4 იანვარს კლუბშივე გაიმართა ღარიბ ბავშვებისათვის შობის ხე. საღამოზედ ყმაწვილების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, რადგან ბევრმა მათგანმა საჩუქრად ტანისამოსები მიიღო.

*** ს. ჭაგანი, (ქუთაისის მაზრა). აქაურმა კეთილშობილებმა სიტყვიერი პირობა მისცეს ერთმანეთს, რომ მიცვალებულის განსასვენებლად „გადახურონ“ (შეწევნა აღმოუჩინონ) ქირისუფალს თითო ოჯახმა არა ნაკლებ თითო მანეთისა. სადილი თავიანთ ოჯახში უნდა სჭამონ მეზობლებმა, და არა ქირისუფლის სახლში, რომელიც ისედაც გაჭირებულ მდგომარეობაში იმყოფება და საზოგადოების გამასპინძლება მეტი ჭირი იქნება.

აქაურის საყდრის გალავანი მალე მოთავდება, რომლისათვისაც დიდი შრომა მიუძღვის მნათეს თ. ა. ბ. ფაღავას. სხვა სარგებლობაც ბევრი აღმოუჩინა თავ. ფაღავამ ეკლესიას. მაგალითად, ეკლესიის შემოსავალს უკლებლად ახმარებს ეკლესიას, რომელიც დიდად გაამშვენიერა.

წინა კვირაში აქ განუწყვეტლივ სწვიმდა და 27, 28, 29 დეკემბერს ძლიერი აღმოსავლეთის ქარი ჰქროდა.

*** ქუთაისს, გამრეკელოვის სტამბაში იბეჭდება შემდეგი ახალი წიგნი: „ორმოც-და-ათის წლის იუბილეის დღესასწაულები ქართულის თეატრის არსებობისა ტფილის-ქუთაისში და მოკლე ისტორია ქართულის თეატრისა 1850 წლიდგან აქამომდე ორსავე დედა ქალაქში“.

*** რედაქციამ მიიღო მე-8 ოქტომბრის ნომერი ჟურნ. „კრებულისა“. შინაარსი ამ ნომრისა: პირველი განყოფილება: 1, აკაკის—ლექსი კოლხიდელისა; 2, კოლხიდელს—ლექსი აკაკისა; 3, თავ-გადასავალი—აკაკისა; 4, გაიოზ ბართლომიზი—მოთხრობა მაჩხანელისა; 5, ლექსი სისონა მეჩანგურესი; 6, მოხუცის აღსარება—დ. თომაშვილისა; 7, აკაკის წერილი თავად ილია ჭავჭავაძესთან; 8, შავი ქვის საშეფო—მაცნისა; 9, საქართველოს დედა-ქალაქი ტფილისი (გაგრძ.)—მ. ჯანაშვილისა. მეორე განყოფილება: 1, სოფ. ჭალატუე, სალხური ლექსები და გამოცანები, წარმოდგენილი აფ. მერკვილაძის მიერ; 2, გურული ასახსნელები, ჩაწერ. ალ. მერკვილაძის მიერ.

*** ს. ახალუბანი, (გორის მაზრა). ახალ წელიწადს შემდეგი უბედურება მოხდა აქ: აზ. ლადო ქაიხოსროს ძე კობახიძემ ხანჯლით მოჰკლა თავისი მეზობელი გლეხი იაგორ ცხადაშვილი. კობახიძე ცხადაშვილის ნათესავისას შეიდა დღესასწაულის მისალოცავად, იქ რამდენსამე ხანს დაჰყო, არაყი დალია და მასპინძელს გამოშვიდობა. გამოვიდა-რა გარედ, წინ შეხვდა ცხადაშვილი, რომელთანაც ადრე უსიამოვნება ჰქონდა. კობახიძე მაშინვე დაეტაკა მას და ხანჯალი ჩასცა მუცელში. მკვლელი დატუსაღებულია.

*** სიღნაღის მაზრაში, სოფლებს ქოდალოსა და ახაშენს შუა უპოვნიათ სოფ. ახაშნის მცხოვრების ალექსი პაგიაშვილის გვამი, რომელიც ქარ-ბუქისაგან გაყინულიყო გზაში.

*** მეორე და მესამე თუმანოვისა დაათ ახლო-მახლო მდებარე ქუჩების მცხოვრებნი ძლიერ ემდურებიან იმ უწესო გარემოებას, რომ ამ ერთს კუთხეში ორი სასაფლაოა. ერთი ნემეცების სასაფლაო, რომლის გვერდით ხშირად ახალია ხალხი, და მეორე სომხებისა, რომელიც ცოტათი მოშორებულია მცხოვრებლებზე, მაგრამ იქაც ალაგი აღარ არის. ამბობენ, რომ ზაფხულობით ამ სასაფლაოების მახლობლად ბავშვებს სხვა-და-სხვა სენი ძალიან მალ-მალე ჩნდება. საჭიროა ამ გარემოებას ყურადღება მიექცეს.

—

ამ ბოლოს დროს ძალიან განმრავლდა საეკლესიო სამრევლო სკოლები. ი- თქმა იშვიათია ისეთი ეკლესია, რომ იმასთანვე არ არსებობდეს სკოლა. უმრავლესობა ამ სკოლებისა ისეთს ნიადაგზედ სდგას, რომ სწორედ სანატრელი და სასიამოვნოა მათი მდგომარეობა. ამის მიზეზი კეთილი მზრუნველი, გამოცდილი გამგე, მხნე პედაგოგი და გულშემატკივარი ხელის შემწყობი. საუკეთესო ნიადაგზედ დაყენებულ სკოლად ჩაითვლება ტფილისის ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიის სამრევლო სკოლაც, სადაც სამოცამდე ქალი [illegible] სწავლობს. ამ სკოლის მზრუნველად ირჩევა კნეინა ბაგრატიონ-მუხრან-ბატონისა ნინო იოსების ასული, რომლის გულკეთილობა და სკოლისთვის მშობლიური მზრუნველობა ძნელი გამოსათქმელია. კნეინა ნინო არ ზოგავს სკოლისათვის არავითარს შრომასა და ხარჯს.

როგორც წინა წლებში, წრეულსაც, ახალწლის ღამეს, გაუმართა მან სკოლის მოსწავლეთ შობის ხე, რამაც დიდად გაახარა ბავშვები. ამ საღამოს დაესწრნენ თვით მზრუნველის მეუღლე, თ. მ. ბაგრატიონ-მუხრან-ბატონი თავისის შვილებით, თავ. ნ. ა. ამილახვარი, ნ. ა. არჯევანიძე, საეპარქიო სამრევლო სკოლების ზედამხედველი ბ-ნი ტატიშვილი და მრავალნი სხვანი. ბავშვები მწყობრად გარს შემოხვეოდნენ ათას ფერადათ მორთულს, ჩირაღდნებულ ნაძვის ხეს და ჰგალობდნენ ბ-ნ კავსაძის მიერ ნასწავლებ სხვა და სხვა სამხიარულო სიმღერას. ამ სიმღერებმა დიდად ასიამოვნა საზოგადოება. თითოეულის სიმღერის შემდეგ რიგ-რიგად ამბობდნენ ქართულ-რუსულ ენებზე სხვა და სხვა ლექსებს, რაიცა საზოგადოებას მეტად მოეწონა და აშკარად დაინახა მასწავლებლის ქ-ნის თუშმალოვის მეტის-მეტი მხნე მეცადინეობა. თავ. ამილახვარმა და მუხრან-ბატონმა დაასაჩუქრეს ოცდა-ხუთ-ხუთის მანეთით ეს მასწავლებელნი. საღამოს დათავებისას კნეინა ნინომ თვისავე ხელით სთითაოდ დაურიგა ბავშვებს თითო პარკი ხილი, სახალათე (ზოგს ფეხსაცმლები,) და სხვა და სხვა სათამაშო და სასწავლო ნივთები. საყურადღებო და სასიამოვნო იყო ამ საღამოზედ, რომ თვით მზრუნველის პატარა ყმაწვილები მეტის მეტის სიყვარულითა და ალერსით ეკიდებოდნენ მოსწავლეებსა და საჩუქრებს აძლევდნენ. საზოგადოება დაიშალა მეთერთმეტე საათზედ და მადლობას უძღვნიდნენ ეკლესიის წინამძღვარს მამა მარკოზ ტყემალაძეს, რომელიც ამ სკოლის გამგეა და თავისის გამოცდილებით სამაგალითოდ განაგებს ნორჩს სასწავლებელს.

სერგი

---

დირექციის მოხელენი, ვისაც კი რამე გავლენა და უფლება ჰქონდა თეატრის საქმეზედ, ისე გულმხურვალედ არ ეკიდებოდნენ ქართულ თეატრს, როგორც მათი მთავარ-უფროსი იყო. საუბედუროდ იგინი სრულიად განსხვავებულის აზრისანი იყვნენ და ამიტომაც მათი განკარგულება ხშირად ისეთი იყო, თითქოს სცდილობდნენ კიდეც ხელი შეეშალათ ქართულის თეატრის არსებობისათვის. ამ გარემოებაში, თუმცა-კი შესაწევარი ოთხასი თუმანი ყოველ წლივ ეძლეოდა, ქართულმა თეატრმა იწარმოვა ოთხი წელიწადი, ე. ი. ვიდრე თ. ვარანცოვი ბრძანდებოდა მთავარ-მმართებლად. 1855 წელში თ. ვარანცოვს უმაღლესმა მთავრობამ სხვა დანიშნულება მისცა და მისმა მოადგილემ ქართულს თეატრს ვარანცოვისაგან განწესებული შესაწევარი, წელიწადში ოთხასი თუმანი, მოუსპო. რაკი შესაწევარი აღარსად იყო, თ. ერისთავმაც ქართულ თეატრს თავი დაანება და სოფელში გადასახლდა.

ამის წასვლით თეატრს ივანე კერესელიძემ მოჰკიდა ხელი. თეატრის დირექციამ ერთხანად თეატრი, მუსიკა და წვრილმანი საჭიროება მუქთად აძლია მას, მაგრამ მალე ეს ჩამოაცალა. მაშინ კერესელიძემ თეატრი მთლად თითონ იდო კისრად. ერთი დიდი დარბაზი დაიქირავა, თეატრად გადააკეთებინა (ლოჟებითა და სცენით) და წარმოდგენები დაიწყო. ექვს თვეს გასტანა იმისმა თეატრმა. შემოსავალი იმდენი ჰქონდა, რომ მხოლოდ მოთამაშეთ აკმაყოფილებდა; სახლის ქირისა და მოწყობისათვის ნასესხ ორასის თუმნის გარდასახდელად-კი არა რჩებოდა-რა. ამ ვალში გაუყიდეს კერესელიძეს თეატრის მოწყობილობა და თეატრიც მოისპო.

ამ გვარად ქართული თეატრი თითქოს თ. ვარანცოვს გაჰყვა თან და ქართველი საზოგადოება უთეატროდ დარჩა.

ბევრი ნიჭი გამოიჩინა მაშინდელმა ქართულმა თეატრმა როგორც სცენიური, ისე მწერლობითი. იმ დროს მსახიობი ქალები: საკაძისა, ტატიევისა, ანტონოვისა, აბრამიძისა, ბაფეროვისა, უზნაძისა და კორძაიასი და მსახიობი კაცები: ანტონოვი, დვანაძე, ტატიევი, რჩეულოვი, კორძაია, კიკნაძე, ელიოზოვი, აბრამიძე და ზენკლოვი ჩინებული როლების აღმასრულებელნი იყვნენ. აბრამიძე ისეთი შესანიშნავი კომიკი ყოფილა, რომ მარტო სცენაზედ გამოსვლით, ჯერ ხმა ამოუღებელი, სიცილით თურმე ხოცავდა მაყურებელთ. წარმოსადგენ პიესებსაც თითონ მსახიობნი სწერდნენ სცენისთვის. ამ მხრივ ნიჭი გამოიჩინეს: ანტონოვმა, ჯაფარიძემ, ღვანაძემ, მეიფარიანმა, კერესელიძემ და სხვ. ანტონოვი ამას გარდა საქმის მიმართ გულმოდგინებით მარჯვენა ხელი იყო თ. გ. ერისთავის და, ვფიქრობთ, უბედურმა შემთხვევამ მისის უდროო სიკვდილით დიდი ძალა მოაკლო ქართულ თეატრს. კერესელიძის დროის თეატრს, სამწუხაროდ, იგი არ მოსწრებია.

ამ ხუთიოდე წლის განმავლობაში არსებულ თეატრს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველ საზოგადოებისათვის, დიდი სარგებლობა მოუტანა. მან გამოაღვიძა იგი ხანგრძლივის ძილისაგან და სადღეღამო უფერულ ცხოვრებას ერთნაირობა თითქოს გააფერად-ფერადა, გადაახალისა. ტფილისის ოჯახებში წარმოდგენილ პიესებიდგან მთელ ადგილებს გაიგონებდით სიტყვის მასალად, ანუ სალაღობოს დროს გასატარებლად წარმოთქმულს, სცენურ კილოთი და ჰანგით. ზოგან კიდევ ეკსპრომტით სცენის მოისმენდით, მოქმედის საკუთარ თხზულებისას, რაიმე დროის ქორონიკზედ, ანუ რომელისამე ცუდის ზნისა და ჩვეულების დასაცინად. ერთის სიტყვით, საზოგადოებას თითქოს გონების გაფხიზლება და მახვილობა დაეტყო, ენამ ლისი მიემატა, აზროვნობა გაღვივდა, თვალი გაეხილა ადამიანურ ცხოვრების დასანახავად და გასაგებად. ლიტერატურამაც ნაბიჯი წადგა წინ: დრამატიულ მწერლობის დარგს დასაბამი მიეცა; ახალ-რიგ მწერლობის ნიჭი გამოიწვია ასპარეზზედ და მოქმედ-ამოქმედდა, რაიცა უთეატროდ უჩინრად უნდა გამქრალიყო. მაშინ დაწერილმა დრამატიულმა თხზულებებმა ლიტერატურას ბევრი შესძინა და ამასთან ის მნიშვნელობაცა ჰქონდათ, რომ მომავალ სათეატრო ასპარეზზედ მშრომელებს თეატრის დაფუძნების საქმე ცოტაოდნად მაინც გაუადვილეს: თ. ერისთავისა და ანტონოვის კომედიები ეხლაც დიდ სამსახურს უწევს ქართულს თეატრს.

1855 წლიდგან ქართულ თეატრს მეტად ცუდი დრო დაუდგა. ასე ჩინებულად დაწყებულმა და იმისთანა დიდებულ მფარველის მყოლე ჩვენმა თეატრმა საკუთრად თავისთავს ვერა გააკეთარა. იგი ისე წაიშალა ქართველების ცხოვრებიდამ, თითქოს არც-კი როდისმე ყოფილიყოს. ამიტომაც მის ასპარეზზედ მომქმედს, თუ-კი ვინმე იკისრებდა ამას, თავიდგან უნდა დაეწყო საქმე. გულ-შემატკივარი მფარველი სხვა აღარავინ გამოსჩენია, ხოლო ისეთი კაცი, რომ მისი წარმართვა კისრად ედო და წარმოდგენებს შესდგომოდა,—სულ არავინ იყო... თეატრის საქმე დიდხანს დარჩა უპატრონოდ და ქართველი საზოგადოება სცენის მოყვარეთაგან იშვიათად გამართულ წარმოდგენების ამარად და იყო. ამასთან ეს იყო შესანიშნავი, რომ მოწინავე გავლენიან საზოგადოებიდგან არავინ ჰკიდებდა ხელს და, მაშასადამე, იმათგან თანაგრძნობაც არა ჰქონდა წვრილ-ფეხობისაგან გამართულ სცენის მოყვარეთა წარმოდგენებს. ასეთ უმწეო მდგომარეობაში იმყოფებოდა ქართულის თეატრის საქმე 1868 წლამდის. ამ წელში-კი ერთი პატარა წრე გამოუჩნდა მას მუშაკად. ამ წრემ ქართულის ჟურნალის დაარსება განიზრახა და ამასთანავე ქართული თეატრის განახლება და მკვიდრ ნიადაგზედ დამყარება დაიდო საგნად.

(დასასრული იქნება)

## წერილი ზუგდიდიდგან

—

მამა-პაპით ნამდვილ აზნაურიშვილებზედ უფრო ბევრი აქაური გლეხკაცი დაეძებს აზნაურობის ღირსებას ზოგიერთ მატყუარა „ადვოკატთა" წყალობით. ეს უკანასკნელნი დადიან სოფლად და დაბად და აბრიყვებენ გლეხებს „თუ ცოტა რაიმე ფულს გაიმეტებ სახარჯოდ, ახლა არის დრო აზნაურიშვილობის შოვნისა, რომლისათვის „დეპუტატი სობრანიაში" გასარჩევლად შესატანი ყოველ გვარი საბუთის გამოწყობ-დამზადება მე ადვილად შემიძლიანო".

რა საკვირველია, ამის გამგონე გლეხი ალტაცებაში მოდის და თან გულში ჰფიქრობს, „ცოტა რასმეს დავხარჯავ, ეგებ ბედმა გამიღიმოს და საუკუნოდ მოვიხვეჭო სახელი აზნაურიშვილობისაო". ამ ფიქრებით გატაცებული გლეხი ჩუმად შეიხმობს ხოლმე ოთახში მატყუარა ვექ ბატონს და აძლევს ფულს საქმის საწარმოებლად; თან ევედრება: „ჯერ ამ საქმეს ნურავისთან გაამჟღავნებ, რომ სასაცილო არ გავხდეო". პირველად ეს თვალთ-მაქცი ვექილი ცოტაოდენ ფულს თხოულობს და ამით ჰპირდება დაბადების მოწმობის გამოტანას აზნაურიშვილობის წოდებით სინოდის კანტორიდგან, მაგრამ როცა საქმე უკუღმა დატრიალდება და ვერაფერს გააწყობს, მიუბრუნდება გლეხს შემდეგის სიტყვით: „არიქა, ამოდენი ფულია საჭირო, თორემ წახდა საქმეო". მაშინ უძირო მორევში შეტოპებული გლეხი იბრძვის და რაც რამ შეძლება აბადია, ალარ ჰზოგავს.

ამის მიბაძვით სხვა გლეხებიც ამბობენ. „თუ ჩვენი მეზობელი, აქამდის ჩვენი ტოლი გლეხი ეძებს აზნაურიშვილობას, ჩვენ რად უნდა ჩამოვრჩეთო?" და ისინიც იმავ ანუ სხვა იმის მსგავსს „ადვოკატის" ხელში ვარდებიან. ამის გამო მთელს მაზრაში უმრავლესობას მიტოვებული აქვს სახლ-კარი და აზნაურიშვილობის მეძიებელნი ნასესხი ფულით მიემგზავრებიან ქუთაისსა და ტფილისში (ტფილისში მოწმობისათვის). რაღა თქმა უნდა, ფული იფლანგება უსარგებლოდ მატყუარა ვექილებზედ და სასტუმროებში.

ასეთმა ცრუ რჩევა-ქადაგებამ შავის დღისათვის შენახული ფული უსარგებლოდ გამოაცალა ხელიდან როგორც სოფლელებს, ისე ვაჭრებს. მთელს ზუგდიდის მაზრაში სამი-ოთხის თვის წინედ მაზრის უფროსის ბრძანებით, ბოქაულებმა გამოაცხადეს: „მთავრობის მიერ დადგენილია, რომ არავინ იქონიოს უმოწმობოდ ამ წლის პირველ დეკემბრიდგან რევოლვერი, თოფი და დამბაჩა და ვინც მოწმობას არ გამოიტანს იმ დრომდე, მოხსენებული იარაღი წაერთმევა პოლიციის მოხელეთაგან და ვაჭრობით გაიყიდება ხაზინის სასარგებლოდო".

მთელს მაზრაში ძვირად იქნება ისეთი ოჯახი, რომ ამ იარაღთაგან ერთ-ერთი მაინც არ ჰქონდეს. ყველამ ასე იფიქრა, რომ თუ იარაღი ჩამოგვერთვა, რითი დავიფაროთ თავი მოულოდნელის მტრისა და ქურდ-ავაზაკებისაგანო? და უმრავლესობამ მოწმობის აღების შესახებ თხოვნა შეიტანა სამაზრო სამმართველოში. თითოეულ თხოვნას 1 მ. 70 კ. მარკა დაეკვრდა (ზუგდიდში 80 კ. მარკა 85 კ. იყიდება, რადგან ხაზინა აქ არ არსებობს). ასე რომ მთელს მაზრას დაუჯდა ამ საქმეზედ დაახლოვებით 4—5 ათას მანეთამდე, მარკების ფასს გარდა თუ ვიანგარიშებთ თხოვნების დაწერის ქირას და დროს დაკარგვას. ეხლა ხმა გავრცელდა, რომ მოწმობა საჭირო არის მარტო სახელმწიფო რევოლვერებისა და ბერდანებისათვისო; სანადირო თოფი და უბრალო რევოლვერი უმოწმობოთ შეუძლიანთ იქონიონო.

აქა-იქ ყელ-ჰკრევაა აქაურს სოფლებში. ვაჭრობა მთელს მაზრაში ძლიერ დაცემულია. ამინდი კარგია ჯერ ჯერობით; თოვლის ნიშანწყალი არ გვინახავს; ხანდახან ცოტ-ცოტად ყინავს ხოლმე. გარეული იხვითა, წეროთი, ბატითა და ინდაურით მთლად გაივსო აქაური ჭაობები, რადგან ახლო-მახლო დიდი თოვლია. მოხუცებულები გვიწინასწარმეტყველებენ, რომ ამ ფრინველების გაზმირება დიდი თოვლისა და სასტიკის ზამთრის მომასწავებელიაო.

ზუგდიდელი

# უცხოეთი

### ინგლის-ტრანსვაალის ომი.

გერმანული გაზეთის—„National Zeitung"-ის კორესპონდენტი აი რას იწერება კაპშტადტიდგან:

„სასაცილოა, რომ ბრძოლის ველის ამბებს, ინგლისის ცენზურის წყალობით, ინგლისური გაზეთებიდგან კი არ ვტყობულობთ, არამედ ევროპის სხვა ქვეყნების გაზეთებიდგან. ცენზურა გაუსინჯავად არ სტოვებს კერძო წერილებსაც-კი, ლორენცო-მარკეზიდგან და ტრანსვაალიდგან მომავალთ. მაგალითად, ამას წინად მე ვნახე გერმანიის კონსულისაგან გამოგზავნილი წერილი ლორენცო-მარკეზიდგან ერთს აქ მცხოვრებ ნემეცთან. თუმცა წერილზედ კონსულის ბეჭედი იყო დასმული, მაგრამ ინგლისის მოხელეებს მაინც გაეხსნათ ის და შემდეგ ისევ დაებეჭდათ. წერილი კერძო ხასიათის იყო, მაგრამ ინგლისის ცენზორს საჭიროდ დაენახა მისი წაკითხვა. ცენზურასთან ერთად სასტიკად ჰმოქმედობს ჯაშუშთა დასი. ჯაშუშებს სწოთვნიან სამხედრო მოხელენი და მათის წყალობით ბევრს მეფერმეს დასწამეს სახელმწიფოს ღალატი. კაპშტადტში ასე ჰფიქრობენ, რომ ამ მეფერმეთ არ დასჯის ინგლისის მთავრობაო. იმის შემდეგ, რაც პრეზიდენტმა კრიუგერმა დანაშაული მიუტევა ჯემსონს და სხვებს, რომელთაც სიკვდილით დასჯა ჰქონდათ გარდაწყვეტილი, ინგლისელებს არ შეუძლიანთ სიკვდილით დასაჯონ მეფერმეები, რომელთაც სახელმწიფო ღალატს აბრალებენ. ინგლისის მთავრობა რომ ასე არ მოიქცეს, კაპის ახალშენში უთუოდ რევოლუცია მოხდება.—აფრიკანდიორები ფულებს აგროვებენ ომში დაჭრილთა სასარგებლოდ და საზოგადოდ აფრიკანდიორების სოფლები არას ჰზოგავენ დახმარება აღმოუჩინონ ომში დაზარალებულთ. მაგრამ მე საშინლად მაკვირვებს ის გარემოება, რომ აქ მცხოვრები ინგლისელები სრულებით არაფერს იმეტებენ ინგლისიდგან მოსულ ჯარისათვისო".

### ჟურნალ-გაზეთებიდგან.

(ამოკრებილი ამბები)

ეს ათი წელიწადია, რაც იტალიანელი სუჩი მარხულობით ევროპასა და ამერიკაში ყველას აკვირვებდა. სუჩი მთელი 20, 30 დღე უჭმელ-უჭმელი იყო ხოლმე. დღემდის ეგონათ, რომ სუჩი მართლაც უჭმელ-უჭმელი სძლებს ამოდენა ხანსო, მაგრამ ეხლა გამოირკვა, რომ იგი ქვეყანას ატყუებდა და ჩუმ-ჩუმად ლაზათიანად გიახლებოდათ ხოლმე საჭმელს. ამას წინად სუჩი რიო-დე-ჟანეიროში წავიდა თავისს სასწაულის მოსახდენად. სუჩის 40 დღე უნდა ემარხულნა, თვალ-ყურს სუჩის მკურნალი ალმენდი ადევნებდა. ერთ დღეს მკურნალი მოულოდნელად სუჩისთან შესულა და შემდეგი სურათი-კი დაუნახავს: სუჩი ჩამადნიდგან ფირფიტას მაგვარ თხელ რაღაცას იღებდა და ხარბად შეექცეოდა. ექიმმა გასინჯა ფირფიტა და გამხმარი ხორცი-კი აღმოჩნდა. თურმე სუჩი ხორცს თხელ ნაჭრებად სჭრიდა, ახმობდა და საჭმელად ინახავდა.

***

აწინდელ მოგზაურ ქალთა შორის პირველი ადგილი ინგლისელს მანდილოსანს ბიულლოკ-ვორკმანს უჭირავს. ეს მანდილოსანი რამდენჯერმე ასულა მაღალს და თითქმის მიუვალს მთებზედ. ამ უკანასკნელ დროს ვორკმანი საშუალო აზიის თოვლიან მთების მწვერვალებზედ ასულა. მოგზაურს თან მხოლოდ ერთი გზის მაჩვენებელი ჰყოლია. სხვათა შორის ვორკმანი კოზერ-იუნგის მწვერვალებზედაც ასულა, რომელსაც 6,400 მეტრი სიმაღლე აქვს. ამის შემდეგ მხნე მანდილოსანი ორ სხვა უფრო მაღალს მწვერვალს ასულა და მრავალი სურათი გადაუღია იქიდგან. ეს მთები დღემდის სრულიად გამოუკვლეველი იყო. ვორკმანის პატივსაცემად ერთის მწვერვალისათვის ამ მოგზაურის სახელი დაურქმევიათ, ხოლო მეორისათვის—ზიგფრიდგორნი.

***

აწინდელის ტეხნიკის წყალობით თვით მოსიარულე ეტლმა ლამის არის სრულიად განდევნოს ცხენი. ამერიკაში აზრადა აქვთ თვით მოსიარულე ეტლი ომშიაც-კი გამოიყენონ. შეერთებულ შტატების სამხედრო სამინისტროს შეუკვეთნია სამი თვით მოსიარულე ეტლი. ეტლები მოძრაობაში ელექტრონის შემწეობით იქმნებიან მოყვანილი. ორი ეტლი ისე იქმნება მოწყობილი, რომ საჭიროების დროს შეიძლება სატელეგრაფო სადგურებად გადაკეთდეს. მესამე ეტლი ჩქარა მოსიარულე იქმნება და შეეძლება ოთხის კაცის ზიდვა. როგორც გამოანგარიშებულია, თითო ეტლი 6200 მანეთი დაჯდება.

***

იტალიანელ ფიზიკოსს მართო რუსსო დაზარომს გამოუგონია ახალი სატელეგრაფო მანქანა, რომლის შემწეობითაც შეიძლება გაქანებულ მატარებლიდგან დეპეშის გადაცემა. დეპეშა შეიძლება გადაეცეს რკინის გზის სადგურს, მეისრეს, გზის დარაჯს ან სხვა ვინმეს. მანქანა იმდენად კარგი გამოდგა თურმე, რომ ბავარიის მთავრობას განუზრახავს იგი თავისს რკინის გზებზედ შემოიღოს. დაზარომი უკვე მიუწვევიათ ბავარიაში.

### გამოსადეგი ცნობა

ოფლის სუნს ძალიან ადვილად ჰკარგავს დამწვარი შაბი. დამწვარი და დანაყილი შაბი მცირეოდნად რომ დაუყაროს ოფლიანს ადგილს, სწრაფად ჰკარგავს ოფლის სუნს და ჯანსაღ არას ავნებს.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

5 იანვარი

**პეტერბურგი.** 5 იანვარს ვარშავის რკინის გზით მოვიდა აქ საზღვარგარეთიდგან ჰერცოგი ალფრედ საქსენ-კობურგ-გოტისა. სადგურზედ ბრძანდებოდნენ ხელმწიფე იმპერატორი, დედოფალი იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული და დიდნი მთავარნი. 10 საათსა და 35 წუთზედ მათი უდიდებულესობანი და უმაღლესნი სტუმარნი საზამთრო სასახლეში წაბრძანდნენ.

**კიევი.** სკოტსკების საქმე დანიშნულია განსახილველად ქ. პოლტავაში 19 მაისისთვის.

**ლისსაბონი.** „რეიტ. სააგ." დეპუტატთა პალატაში გარეშე საქმეთა მინისტრმა, გაიმეორა რა ამას წინად ნათქვამი გერმანია-ინგლისის შორის მომხდარ შეთანხმების შესახებ, განაცხადა, რომ პორტუგალიის მთავრობას სრულიადაც არა ჰსურს თავისი ახალშენები დაუთმოს, ან მიჰყიდოს, ან კიდევ იჯარით მისცეს ვინმესო.

**მოდდერ-რივერი.** „რეიტ. სააგ." დღეს დილით ყუმბარების ცხარე სროლა იყო. ბურებმა ყუმბარებითვე გასცეს პასუხი ინგლისელებს, რაც რამდენიმე დღეა არ მომხდარა. ინგლისის ბანაკში ხშირად მოდის ამბები, რომ ორანჟეს ბურები ომის მოსპობას არიან მოწადინებულნიო.

ამას წინად ხმა გავრცელდა, რომ ბლუნფონტენში, პტეინისა და კრონიეს დაუსწრებლად, ყრილობა მოხდაო. ამ ყრილობაზედ დაუდგენიათ, რომ თუ 17 იანვრამდე ინგლისელები ბრძოლას არ დაიწყებენ, ორანჟეს ბურები უკან სამშობლოში დაბრუნდებიან. ბურებს ძალიან უჭირთ სპიტფონტენში მყოფ ჯარისთვის სურსათის მიზიდვა, რადგანაც იქ რკინის გზა არ მიდის.

**კაპშტადტი.** „რეიტ. სააგ." მილნერმა ფილიპპსტადუნისა და გოპსტაუნის ოლქებში სამხედრო დროის წეს-რიგი შემოიღო.

**ლონდონი.** „Times"-ს დეპეშით ატყობინებენ, რომ 3 იანვარს ჩიველეში სპრინგფილდიდგან თოფისა და ზარბაზნების სროლის ხმა მოისმოდაო. „Times"-შივე დაბეჭდილი მეორე დეპეშა იუწყება, რომ, როგორც ლორენცო-მარკეზელ კორესპონდენტს გაუგია ნამდვილის წყაროებიდგან, ქ. მეფკინგს არავითარი შიში არ მოელის; ამ ქალაქის კაპიტულაცია შეუძლებელია; იქ მყოფ ჯარს სურსათი საკმაო აქვსო.

**რენსბურგი.** „რეიტერის სააგენტო". გენერალ ფრენჩის მიერ გაგზავნილი ჯარი მტრისთვის გზის შესაკვრელად უკანვე დაბრუნდა უვნებელი. ეს ჯარი ნორვალპონტს 9 მილით მიუახლოვდა.

**კაპშტადტი.** „რეიტ. სააგ." ხმა დადის, რომ ბურების მრავალ რიცხოვანი ჯარი მაგერსფონტენიდგან კოლსბერგისაკენ გაემართაო.

**მოლტენო.** „რეიტ. სააგ." დღეს მონმორანსიდგან სარეკოგნოსციროვკოდ გაემართა ჯარი, რომელიც კაპის პოლიციელთაგან შესდგება. ჯარმა თოფების სროლა დაუწყო ბურების რაზმს. ინგლისელებს ზარალი არ მოსვლიათ.

**ლონდონი.** „რეიტ. სააგ." საღამოს გაზეთებს იაკობსდალიდგან ატყობინებენ, კიმბერლეიდგან გამოქცეული და ბურების ბანაკში მისული კაფრები ამბობენ, რომ კიმბერლეის მეციხოვნენი და მცხოვრებნი უსურსათობით დიდს გაჭირვებაში არიანო.

**ვაშინგტონი.** „რეიტ. სააგ." საზღვაოსნო დეპარტამენტს არა ჰსურს გერმანიის ფლოტის გაძლიერების პროექტის გამო შესცვალოს თავისი პროექტი ახალის გემის აგების შესახებ. უკვე გადადებულია ფული 21 გემისთვის.

**პეტერბურგი.** ოთხ იანვარს დიდ მთავრინას ქსენია ალექსანდრეს ასულს მიეცა შვილი, რომელსაც სახელად ნიკიტა ეწოდა. ავგუსტოესი მშობელი დიდი მთავრინა ქსენია ალექსანდრეს ასული და ახლად შობილი კარგად არიან.

**ნიჟნი-ნოვგოროდი.** კასპიის ზღვის მახლობლად, ნაპირიდგან 30 ვერსტის სიშორეზედ, ზოგიერთა ფირმების ნავთიან ადგილებზედ, ნავთი აღმოჩნდა 100 საჟენის სიღრმეზედ.

**მოზერუ.** „რეიტ. სააგ." ბაზუტოსების ქვეყანაში გავრცელებულია ანგარიში იმისა, თუ ორანჟესა და ტრანსვაალის ბურებმა რამდენი კაცი დაჰკარგეს ლედი სმიტთან მომხდარ ბრძოლაში. ამ ანგარიშმა მეტად ცუდად იმოქმედა ბაზუტოსებზედ, რადგანაც ანგარიში ხელ-ახლა არწმუნებს მათ, რომ ინგლისელნი იმარჯვებენ. კამენდანტის პრინსლოოს ოფიციალურ მოხსენებაში საქმე სულ სხვა ნაირად არის აღნიშნული. მოხსენებაში ნათქვამია, რომ ზანდივერის რაზმიდგან ერთი ბურგერი დაიჭრა, მაშინ, როდესაც ჩორერისმიტის რაზმს, ფელდკორნეტების გარდა, 15 კაცი მოუკლეს; გეილბრონის რაზმს 4 კაცი მოუკლეს და 10 დაუჭრეს, ხოლო კრონშტადის რაზმს—4 მოუკლეს და 7 დაუჭრეს.

ოფიციალურად იუწყებიან, რომ მეფკინგის მეციხოვნენი ბურების შანცებს დაეცნენო. არ იციან, ბურებმა რამდენი კაცი დაჰკარგეს.

**რენსბურგი.** „რეიტ. სააგ." დღეს დილით ბურებმა განიზრახეს ერთის გორაკის აღება, რომელიც ინგლისის რაზმს ეჭირა, მაგრამ უკუქცეულ იქმნენ. ბურების მხრივ მოკლულ იქმნა 22 კაცი და დაჭრილ—50 კ.

**მოლტენო.** „რეიტ. სააგ." როგორც იუწყებიან, ბურებს აზრადა აქვთ მოლტენოს ბანაკზედ ხელ ახლა იერიში მიიტანონ. გატეკრმა ქვეითა ჯარი და არტილერია გაგზავნა სტრომბერგისაკენ, მაგრამ ამ ჯარს იქ ბურები არ შეჰხვედრიან. იუწყებიან, რომ ბურებმა უკან დაიწიეს, სტრომბერგში მათ მხოლოდ მეციხოვნენი დასტოვეს, და ახალი პოზიცია დაიჭირეს ბურგერსდორპთანაო; მაგრამ ეს ამბავი არა მართლდება. გატეკრი მოუთმენლად მოელის მისაშველებელ ჯარს.

**რენსბურგი.** „რეიტ. სააგ." კოლსბერგის მახლობლად მდებარე გორაკიდგან შენიშნეს, რომ ბურებმა თავიანთი კარავები აღმოსავლეთისაკენ გადაიტანეს.

**ლონდონი.** „Times"-ს ლორენცო-მარკეზიდგან ატყობინებენ 29 დეკემბერს, რომ ბურების მთავრობა, ინგლისელების ქვეშევრდომთა დახმარებით, თავისს სასარგებლოდ იყენებს სხვა და სხვა მადნებსაო. შემოსავლით იმ უცხო-ქვეყნელთ აჯილდოვებს, რომელნიც ასაფეთქებელ ყუმბარებს ამზადებენ ტრანსვაალისთვის.

**ვაშინგტონი.** სენატმა დაამტკიცა ხელშეკრულება სამოას კუნძულების შესახებ.

**ლონდონი.** „Daily Tel". ბომბეიდგან იუწყებიან, რომ რამდენმამე ასმა ადგილობრივმა მცხოვრებმა დაიჭირეს ჩუტა-მაგცურის კაზარმებიო. მეამბოხეთა წინააღმდეგ მთელი რაზმი გაჰგზავნეს. საქმე ბრძოლამდე მივიდა. რამდენიმე მცხოვრები მოკლულ იქმნა და რამდენიმეც ტყვედ წაიყვანეს. რათა შემდეგშიაც არ მოხდეს ასეთი ამბები, მთავრობამ შესაფერი ზომები მიიღო.

**ლონდონი.** „რეიტ. სააგ.“ საზოგადოებათა პალატის წევრის კორტნელის თავმჯდომარეობით შესდგა კომიტეტი, რომელსაც აზრადა აქვს სამხრეთ აფრიკაში საქმის ვითარების შესახებ ნამდვილი ცნობები გამოაქვეყნოს ხოლმე და ეცადოს დაუმტკიცოს ყველას ის, თუ რამდენად კარგი შედეგი ექმნება სამხრეთ აფრიკაში ჰოლანდიელთა და ინგლისელთა შერიგებას და ამ რიგად ბოლო მოუღოს აწინდელ შეტაკებას. კომიტეტის წევრებად არიან: აფრიკის მკვლევარი სელონსი, ლორდი კოლრიდჯსი, მინისტრად ნამყოფი შოუ ლეფევრი, გერბერტ სპენსერი და სხვა წარჩინებული კაცები.

**გონკონგი.** ფილიპინელები თავს დაესხნენ ამერიკელებს მანილიის მახლობლად, სან-მატეოსა და პაპაკანუეში. მოკლულ იქმნა 146 ამერიკელი, ამათ შორის ერთი პოლკოვნიკიც. ამერიკელ მოხელეთა განკარგულებით დახვრეტილ იქმნა ილოილოს 27 შეძლებული მოქალაქე. ამ ამბავმა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. ფილიპინელთა ჯარმა გადასწყვიტა დაიცვას დამოუკიდებლობა უკანასკნელ სისხლის წვეთამდე.

**ბერლინი.** „ვოლფის სააგ.“ რეიხსტაგში დღეს მთავრობას შეეკითხნენ იმის შესახებ, თუ მთავრობამ რა ზომები მიიღო ინგლისელების მიერ გერმანიის გემების მეპყრობის გამო. შეეკითხა მთავრობას ნაციონალ-ლიბერალი ფონ მელლერი, ხელი უწერია, სოციალ-დემოკრატების გარდა, რეიხსტაგის ყველა წევრებს.

**ასტრახანი.** მეტად სუსხიანი ზამთარია. ღამის თავ-შესაფარები და საავადმყოფოები ხალხითაა სავსე. ქალაქის გამგეობამ დაადგინა გამართოს დროებით საავადმყოფოები.

**მოსკოვი.** 4 იანვარი. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში იმართება მეორე კრება სასოფლო-სამეურნეო სწავლა-განათლების საქმის მოღვაწეთა. სხვა ქალაქებიდგან 60-ზედ მეტი წარმომადგენელი მოვიდა. კრებას, სხვათა შორის, ლაპარაკი ექმნება სასოფლო-სამეურნეო სკოლებისთვის მასწავლებლების მომზადების შესახებ. ცალკე სექცია შესდგა დედათა სასოფლო-სამეურნეო სწავლა განათლების საქმის შესახებ მოსალაპარაკებლად.

**დონის-როსტოვი.** სუსხიანის ზამთრის გამო ღარიბი მცხოვრებნი დიდს გაჭირვებაში არიან. ნახშირი ალარსაიდგან მოაქვთ, ფუთი 25 კაპეიკად ჰფასობს.

**პარიჟი.** „ჰავ. სააგენტო“. ტრანსვაალის წარმომადგენელმა ლედსმა გამოუცხადა „Coulois“-ის თანამშრომელს ბურების მიერ ცეზარსკამპზედ თავს დასხმის შესახებ, რომ არა მჯერა ეგ ამბავი, ვიდრე დაწვრილებით ცნობებს არ მივიღებო. შესაძლებელია, რომ ინგლისელებმა იმ აზრით განიზრახეს ლედი-სმიტიდგან გამოსვლა, რომ ბურები უფრო მჭიდროდ შემეერტყათ ლედი სმიტისთვის და ამ რიგად ბულლერისთვის თავისუფლად მოქმედების სახსარი მიეცათო. ლედი სმიტის კაპიტულიაცია ლეიდს არა სჯერა, ეს არც ბურებისთვის არის გამოსადეგიო. ინგლისელებს ლედი-სმიტში დიდი სურსათი აქვთ შენახული. უაიტის ჯარი რომ ბურებს ტყვეთ ჩაუვარდეს, ძალიან გაუჭირდებათ 10,000 კაცის კვება და შენახვაო. „Matin“-ში გამოქვეყნებულია საუბარი ამ გაზეთის თანამშრომლისა და ინგლისის ხმელთა შუა ზღვაში მყოფის ესკადრის უფროსის ბერესფორდის ა. ბერესფორდის უთქვამს, არა მჯერა რომ ინგლისსა და საფრანგეთს შორის ომი მოხდეს. ეს ომი ორივე სახელმწიფოს დაჰღუპავს, ამიტომ მათ შორის მშვიდობიანობაა საჭირო. ის გარემოება, რომ ჩემბერლენის მიერ საფრანგეთის წინააღმდეგ წარმოთქმულ სიტყვას ინგლისში უკმაყოფილოდ მიეგებნენ, იმის მაჩვენებელია, რომ საზოგადოება ინგლისში არ თანაუგრძნობს ამ გვარს დაწყობილებას. ბერესფორდი ჰფიქრობს, რომ საფრანგეთის, გერმანიის და რუსეთის ფლოტები ვერ შეედრებიან ინგლისის ფლოტს, ამასთან ინგლისი ყოველთვის აძლიერებს თავის ფლოტსაო. ბერესფორდი თანახმაა, რომ ინგლისის ხმელეთის ჯარი ვერ არის კარგად მოწყობილი. ომის შემდეგ გამოარკვევენ ვისი ბრალია ეს, და რეფორმები იქმნება შემოღებულიო.

6 იანვარი

**ტიუმენი.** განახლეს „ციმბირის სავაჭრო გაზეთის“ გამოცემა.

**ლონდონი.** „რეიტ. სააგ.“ ოფიციალურად იუწყებიან, რომ რენსბურგის მახლობლად მომხდარ შეტაკების დროს 3 იანვარს მოკლულ იქმნა 7 ინგლისელი, დაჭრილ — ერთი კაპიტანი და 5 ჯარის-კაცი.

**მოდდერ-რივერი.** „რეიტ. სააგ.“ მეტუენმა დღეს ბურების მემარცხენე ჯარს ყუმბარები დაუშინა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მტერს ძლიერი პოზიცია ეჭირა. ბურებს ხმა არ გაუციათ. ინგლისელებმა ბოლოს უკან დაიწიეს.

**ლონდონი.** „რეიტ. სააგ.“ 22 დეკემბერი. მტერმა 20 დეკემბერს განაახლა ყუმბარების სროლა. ყუმბარები დაუშინეს ბურებმა ბანაკს, სადაც ქალები და ბავშვებიც იყვნენ. მოკლულ იქმნა ერთი პატარა ქალი, სხვები დაიჭრნენ. ცვლილება არა მომხდარა-რა.

**ვაშინგტონი.** „რეიტ. სააგ.“ სენატმა მიიღო გელემის მიერ შეტანილი რეზოლიუცია ინგლისელების მიერ ამერიკელების საქონლის დაჭერის შესახებ დელაგუაში. აი თვით რეზოლიუცია: „რადგანაც ამბობენ, რომ ამას წინად ინგლისის სამხედრო მოხელეებმა დელაგუაში, საერთაშორისო კანონების წინააღმდეგ, დაიჭირეს ამერიკელ მოქალაქეთა საქონელი, რომელიც კონტრაბანდას არ წარმოადგენდა, და რადგანაც, ამბობენ შემდეგ, რომ ეს საქონელი უსამართლოდ ჯერაც არ გაანთავისუფლესო, ამიტომ დადგენილ იქმნა ეთხოვოს პრეზიდენტს აუწყოს მან სენატს, თუ არ ეწინააღმდეგება სახელმწიფო ინტერეს, ყველა ის საბუთის ქაღალდები, რომელნიც ამ საქმეს შეეხება და აცნობოს აგრეთვე ის, თუ მთავრობამ რა ზომები მიიღო საქონლის დასაბრუნებლად“.

**ტურინი.** „სტეფ. სააგ.“ ვილლიანერთან ბიშუს სადინამიტო ქარხანაში აფეთქება მოხდა. 10 კაცი მოკლულ იქმნა; დაჭრილი ბევრია.

**პეტერბურგი.** უმაღლესი ბრძანება: „იანვრის მეორე დღეს დიდ მთავრინას ქსენია ალექსანდრეს ასულს მიეცა ძე, რომელსაც სახელად ნიკიტა ეწოდა. ვბრძანებთ, რომ ახლად შობილი დიდი მთავარი იწოდებოდეს უმაღლესობად“.

ბიულლეტენი დიდის მთავრინის ქსენია ალექსანდრეს ასულის ჯანმრთელობის შესახებ: „დიდმა მთავრინამ ღამე მშვიდობიან ძილში გატარა; ტემპერატურა ნორმალურია. ახლად შობილი კარგად არის.“

**ბერლინი.** „ვოლფის სააგენტო“. ლონდონიდგან მიღებულ ოფიციალურ დეპეშაში ინგლისის მთავრობა აცხადებს, რომ გამოძიება საფოსტო გემის „Bund.“-ის შესახებ დასრულდაო. გემს ამ დღეებში გაანთავისუფლებენ.

**ჰამბურგი.** დურბანიდგან დეპეშა მოვიდა, რომელიც იუწყება, რომ გემი „Bund.“-ი გადატვირთვეს, მაგრამ არავითარი კონტრაბანდა არ აღმოჩნდა შიგაო. სასამართლოს ჯერ განაჩენი არ დაუდგენია.

6 იანვარი

**ლონდონი.** „Times“-ს ლორენცო-მარკეზიდგან ატყობინებენ, იაგანესბურგში ხმა დადის, რომ 20 ზარბაზანი ტრანსვაალში დელაგუადგან იქმნა შეტანილიო.

**ლონდონი.** „რეიტერის სააგენტოს“ კორესპონდენტი 5 იანვარს სპირმანსკამპიდგან იუწყება; „გავიარე მთიანი ადგილი, რათა გენერალ უარენის ჯარის მდ. ტუგელის მეორე მხარეზედ გადასვლას დავსწრებოდი. მტერი მეორე მხარეს ერთის მილის სიშორეზედ იდგა. ბურებმა რამდენჯერმე გაისროლეს ზარბაზნები. ინგლისელების მოწინავე რაზმმა პასუხი გასცა, ხოლო მახლობელს გორაკიდგან ყუმბარებს ინგლისის არტილერია ისროდა. ამ სროლის დროს რამდენიმე ინგლისელი ბორანით მეორე მხარეს გადავიდა. რადგანაც ბურებმა თავიანთი პოზიცია უვარგისად სცნეს, გორაკებისაკენ გაიქცნენ. შემდეგ ინგლისელებმა ტუგელზედ სახელდახელო ხიდი გასდეს. რომელზედაც უარრენის ჯარმა გაიარა.“

7 იანვარი

**პეტერბურგი.** დიდი მთავრინა ქსენია ალექსანდრეს ასული კარგად ჰგრძნობს თავს. დილას ტემპერატურა ჰქონდა 36,8, საღამოთა 36,6.

**პარიჟი.** პალატამ, 329 ხმით 74 ხმის წინააღმდეგ, მოიწონა მთავრობის მოქმედება ამას წინად ბელფორსა და სენტ-ეტიმში მუშათა შეთქმულობის საქმეში.

**ლონდონი.** სამხედრო სამინისტრომ სპირმანსკამპიდგან გენ. ბულლერისაგან მიიღო დეპეშა, რომელიც იუწყება, რომ ორი ბატარეა და ერთი ბრიგადა პოტჩიტერსდრიფტთან მდ. ტუგელს გავიცნენო. იმ დროს, როდესაც ჩვენ ყუმბარებს ვესროდით მტრის პოზიციას, ამ ადგილის ზემოთ, 5 მილის სიშორეზედ, მდინარის მეორე ნაპირას გადავიდა გენერალი უორრენი თავისს ჯარით. მარჯვენა მხარეს მტერი საჩქაროდ სიმაგრეებს აშენებს.

**ბერლინი.** როგორც „Berl. Tag.“-ში დაბეჭდილი, ლონდონიდგან გამოგზავნილი დეპეშა იუწყება, იუწყება გუშინ 4 სათზედ სამხედრო სამინისტროს მიუღია შემდეგი კერძო დეპეშა: „ლედი-სმიტი განთავისუფლებულ იქმნა“.

**სტერკსტრომი.** გუშინ ბურებმა დორდრეხტის რკინის გზაზედ სამი პატარა ხიდი ააფეთქეს.

**სპირმანსფერმი.** ლეიტლტონის ბრიგადა 4 იანვარს გადავიდა მდ. ტუგელს. ამ ჯარმა პატარა გორაკი დაიჭირა ვაკეზედ. 5 იანვარს მტრის ტრანშეებს ყუმბარები დაუშინეს, რის გამო მოწინააღმდეგემ აი ტრანშეებს თავი მიანება.

**რენსბურგი.** მცირე რაზმს, რომელიც 16 კაციდგან შედგებოდა, გუშინ ბურებთან ცხარე ბრძოლა მოუხდა. ბურებმა დაამარცხეს ინგლისელნი. 5 კაცი მოკლულ იქმნა, ერთი დაიჭრა, ორი გაიქცა, დანარჩენნი ტყვედ წაიყვანეს.

**ვაშინგტონი.** საბუთია ვიფიქროთ, რომ მთავრობას ნამდვილად განუზრახავს იყიდოს დანიის ვესტ-ინდიის კუნძულები.

**ლონდონი.** „Times“-ს დეპეშით ატყობინებენ: „ლორდმა დენდონალდმა ბულლერის ჯარიდგან მოულოდნელად იერიში მიიტანა პოტგიტერსდრიფტის სიმაღლეზედ. გენერალი ლეიტლტონი 4 და 5 იანვარს მდინარეს გადავიდა. გენერალი უორენი ტრიჩარდსდრიფტზედ გადავიდა“.

„Daily Tel“-ს ატყობინებენ, რომ უორრენი მთელის ჯარით 5 იანვარს ტუგელზედ გადავიდა და სპიონკოპის მხრისაკენ დაბანაკდა, თუმცა ბურები განუწყვეტლივ ყუმბარებს ესროდნენო.

**ლონდონი.** ბულლერის მიერ ლორდ რობერტსთან გაგზავნილი დეპეშა იუწყება: „ერთი ბრიგადა და ერთი ბატარეა მდინარე ტუგელზედ გადავიდნენ. უორრენმა სახელდახელო ხიდი გასდო ტრიჩარდსერიპტთან. იმისი ჯარი მდინარეზედ 5 იანვარს გადავიდა. დანარჩენი ჯარი 6 იანვარს დილით მიაღწევს ჩრდილოეთ ნაპირს. უორრენს იმედი აქვს მოუაროს მტრის პოზიციას, რომელიც ხუთის მილის სიშორეზედ გამაგრებულ ადგილშია“.

## ღია წერილი

ქ. ქუთაისის მდ. ტ. გ—ძეს.

ოცდა ხუთი მანეთი ფული, რომელიც მიიღეთ ჩემგან 1899 წლის 9 დეკემბერს გაბრიელ მონაზონის თანდასწრებით მ. დ. ჭ—ლის გარდასაცემად, როგორც მე ვცან, აქამდე არ ჩაგიბარებიათ კუთვნილებისამებრ. ამისათვის პატივცემულად გთხოვთ ახლავე წარმოგვიგზავნოთ ეს 25 მანეთი გაზ. „ივერიის“ რედაქციაში, ვითარცა ჩემ მიერ შეწირული წვლილი, სანუგეშებლად მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა ახალქალაქის მაზრის მცხოვრებთა, ჩვენთა ძმათა და აღსასრულებლად ქრისტე მაცხოვრის მცნებისა: „შიშველ ვიყავ და შემმოსეთ მე, მშიერ ვიყავ და მეცით მე ჭამადი“.

დეკანოზი პეტრე კონჭოშვილი



# განცხადებანი

ქუთაისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკისაგან

ქუთაისის თავად-აზნაურთა სადგილ-მამულო ბანკის გამგეობა ამითი აცხადებს, რომ მომავლის 1900 წლის იანვრის თვის ქვემო-აღნიშნულს რიცხვებში დანიშნულია ვაჭრობა ბანკის სადგურში, ქალაქ ქუთაისს, ბანკში დაგირავებულ უძრავ ქონებათა, რომელნიც დარჩენილნი არიან ბანკის საკუთრებად, ამ რიგით: 1) ქალაქისა და ქუთაისის მაზრის მამულთა 24 იანვარს, 2) შორაპნის მაზრისა 25 იანვარს; 3) ოზურგეთისა, სენაკისა და ზუგდიდის მაზრებისა—26 იანვარს და 4) რაჭისა და ლეჩხუმის მაზრებისა—27 იანვარს.

ვრცელი პირობები ვაჭრობისა და საქმეები გასასყიდელ მამულთა მსურველებს შეუძლიანთ გაიგონ ბანკის კანცელარიაში ყოველ დღე, უქმე დღეების გარდა. (1—6.—1)

მიიღება ხელის მოწერა 1900 წლისათვის ორ კვირეულ გამოცემათა ქართულს

„მწყემს“-ზე

და რუსულ

„ПАСТЫРЬ“-ზე

ჟურნალის ფასი:

| | |
|---|---|
| 12 თ. „მწყემსი“ 3 მ. | 6 თვით „მწყემსი“ 2 მ. |
| — „ რუსული 3 მ. | — „ რუსული 2 მ. |
| —ორივე გამოც. 5 მ. | —ორივე გამოცემ. 3 მ. |

გაზეთზე ხელის მოწერა შეიძლება როგორც ყვირილაში, აგრეთვე ქუთაისშიაც. ტფილისში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, ბ. შიო ქუჩუკაშვილთან. ფოთში—დეკანოზ მ. გრიგოლ მაჭაროვთან; სამტრედიაში—ყარამან ჩხეიძესთან; ახალციხეში—დეკანოზ დ. ხახუტოვთან; ახალსენაკში—ბლაღოჩინ მამა არისტარქ კალანდარიშვილთან.

სოფლის მასწავლებელთ და ღარიბთ გაზეთები დაეთმობათ მთელის წლით ორივე გამოცემა 3 მანეთად.

რედაქციას აქვს კანტორები: ქუთაისში ხანანაშვილების სახლებში და ყვირილაში რედაქტორის საკუთარ სახლებში.

გარეშე მცხოვრებთ ჟურნალის დაბარება შეუძლიანთ ამ ადრესით: Въ Квирилы, въ редакцію газеты журнала „Мцкемси“ и „Пастырь“.

რედაქციაში მოიპოვება წარსული წლების რამდენიმე სრული გამოცემანი „მწყემსი“-სა, რომელნიც ნახევარ ფასად დაეთმობათ მსურველთ. (3—1)

აბრეშუმის ქსოვილები

ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთ პირველ ამხანაგობისა ისყიდება ქუთაისში—წერეთლის წიგნის მაღაზიაში; ყვირილაში—ილია მოლოკინიძის მაღაზიაში; ბათუმში—მაქსიმე კიკვაძის მაღაზიაში (სასტუმრო „საფრანგეთის“ პირდაპირ); სამტრედიაში—ქალთა დანელიების სამკერვალოში და სოფ. კუხში—თითონ ამხანაგობის ქსოვილების სახელოსნოში.

(50—6.—49) ნ. წერეთელი



Дозволено цензурою, Тифлисъ 7 Января 1900 г. სტამბა შ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე